აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 მარტის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 მარტის №99 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 20.03.2014, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 020090000.31.056.016042) დამტკიცებულ „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესში“ (დანართი №1) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-7 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ წესის მე-3 მუხლის „ა“, „გ“, „ე“–„თ“, „ი“–„მ“ და „ძ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;“.

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ამ წესის მე-3 მუხლის „ო“–„რ“, „ტ“–„ფ“ და „ყ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ინფორმაციას აწვდის აპარატის ლოჯისტიკისა და საფინანსო უზრუნველყოფის დეპარტამენტი;“.

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე — დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის 23 ივნისი
№54-უ.ს.რ.ს.